

მინსკში ქართულ ენაზე ღვთისმსახურება პირველად შესრულდა



ქართული სათვისტომოსა და საქართველოს საეკლესიო ორგანიზებით, ბელარუსის მართლმადიდებლური ეკლესიის მხარდაჭერით, მინსკში, წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების ტაძარში ღვთისმსახურება ქართულ

ენაზე პირველად შესრულდა.

ღვთისმსახურება შეასრულა მამა მაქსიმემ, რომელმაც ქართველ მრევლს აღუთქვა მხარდაჭერა, ტაძარში სამომავლოდ ქართულ ენაზე წირვაროცვების შესრულებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, მინსკში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვადერი კვარაცხელიამ და სათვისტომოს წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას მისასაღმებელი სიტყვით მიმართეს და ხაზი გაუსვეს ღონისძიების მნიშვნელობას ბელარუსში მცხოვრები ქართველების კიდევ უფრო მეტად გაერთიანების თვარსაზრისით.

წირვას ესწრებოდნენ ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები.